ა) პროგრამის სახელწოდება:
ქართულად: სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
ინგლისურად: Bachellor Programm in Social Work

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ქართულად: სოციალური მუშაობის ბაკალავრი
ინგლისურად: Bachelor of Social Work

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე:

საუნივერსიტეტო განათლების მისიის შესაბამისად, სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის მისიაა მოამზადოს მაღალი პროფესიული დონის მქონე სოციალური მუშაკები, რომლებიც გამოიყენებენ უნივერსიტეტის საბაზისო და სოციალური მუშაობის კურსებზე მიღებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს საქართველოს მოქალაქეების, მათი ოჯახების და ჯგუფების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მისია ეფუძნება შემდეგი მიზნების განხორციელებას:

- სტუდენტთათვის სოციალური მუშაობის თეორიული საფუძვლების გაცნობა;
- სოციალური მუშაობის კომპეტენციის სტანდარტების განვითარება და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება;
- პროფესიული და აკადემიური სტანდარტების პრაქტიკაში ინტეგრირება და სოციალურ მუშაკთა უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;
- მაღალი კვალიფიკაციის სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პროფესიის პოპულარიზებას.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ასეთი წინაპირობა არ არსებობს.

ზ) სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება - სოციალური მუშაობის ბაკალავრის პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებულ სპეციალისტებს შეეძლებათ:

- სოციალური მუშაობის საფუძვლების დაუფლება; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება სოციალური მუშაკის ყოველდღიურ პრაქტიკაში.
- სოციალური მუშაობის ღირებულებებისა და პრაქტიკულ საქმიანობაზე მათი გავლენის გაცნობიერება; სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსის შესაბამისი პრაქტიკის განხორციელება.
- ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების, ადამიანთაშორისი ურთიერთობების დინამიკის იდენტიფიცირება და პრაქტიკაში გამოყენება.
- სოციალური მუშაობისთვის რელევანტური საკანონმდებლო ბაზისა და პროგრამების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება.
- სოციალური მუშაობის მეთოდების ცოდნა და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება.

სწავლის უნარი – სტუდენტს გამომუშავებული ექნება აკადემიური ტექსტების მოძიების და ათვისების, ასევე მათი კრიტიკული ანალიზის უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ექნება უნარი, გააცნობიეროს და განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს ზოგიერთი რეკომენდაცია ამ პრობლემების გადასაჭრელად. ექნება უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც რიგითი მკვლევარი და ხარისხიანად აწარმოოს კვლევის თავისი ნაწილი არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით; შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს საკუთარი კვლევითი პროექტი სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

დასკვნის უნარი - ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ ადამიანთან, რომელიც მისი კლიენტია, ანუ რომელსაც გარკვეულ მომსახურებას სთავაზობს (სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები). მას განვითარებული ექნება სოციალური უნარები, კერძოდ, შეეძლება ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა. ბაკალავრს შეეძლება, აგრეთვე, კომუნიკაცია უცხო ენაზე (B1 დონე).

ღირებულებები, რომლესაც შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ.:

- ✓ პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- ✓ კლიენტთა უფლებების, პირველ რიგში, მათი ღირსებისა და ანონიმურობის დაცვა
- ✓ ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ✓ სოციალურად დაუცველი ჯგუფების და სოციალური სამსახურების მომხმარებელთა გაძლიერება საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციისა და ჩაგვრის დასაძლევად;
- ✓ პლაგიატის უარყოფა

კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ ***ზოგადი*** (ტრანსფერული) -აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენის - უნარები.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო პრაქტიკა ორგანიზაციებში, რომლებიც საზოგადოებას სოციალური მუშაკის მომსახურებას სთავაზობს, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში (Brain storming)

6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100–ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე
- საკონტროლო სამუშაო
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები
- შუალედური გამოცდა
- საბოლოო გამოცდა

  და სხვა.

დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

კ) იხ. დანართი "სოციალური მუშაობის სასწავლო გეგმა"

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სოციალური მუშაობის სასწავლო პროგრამის ბაზაზე შეიძინონ **დამატებითი სპეციალობა,** რისთვისაც მათ მოუწევთ დააგროვონ 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების საფუძველზე.

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ სრული პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

მ) დასაქმების სფეროები:

სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შემდეგ სოციალური პრობლემებზე მუშაობის საჭირო თეორული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ბავშვების, ქალებისა და ოჯახების კეთილდღეობა;
- ხანდაზმულობა;
- ადამიანის უფლებების დარღვევა;
- არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;
- ტრეფიკინგი;
- ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა;
- უსახლკარობა; ეკონომიკური არასტაბილურობა;
- უმუშევრობა; ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი და სხვ.

შესაბამისად, ბაკალავრების დასაქმების პერსპექტივები უკავშირდება ზემოაღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ნ) დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 200–მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

დანართი #: ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

თსუ სოციალური მუშაობის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140კვ.მ) ;
- ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში;
- 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს;
- 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (DSL ქსელი);
- 5 პრინტერს;
- ქსეროკოპირების მანქანას;
- პროექტორს;
- ფაქსს, სკანერს და ა.შ.

სარესურსო ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში.

სარესურსო ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50–ზე მეტი სტუდენტი.

დანართი # : პროგრამის დამტკიცების აქტი

2011 წლის 25 ივნისს გაიმართა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალის სხდომა.

აკადემიურმა პერსონალმა მოიწონა და დაამტკიცა სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

ხელმოწერები:

იაგო კაჭკაჭიშვილი

ლალი სურმანიძე

ამირან ბერძენიშვილი

ლელა გაფრინდაშვილი

ლიკა წულაძე

თეონა მატარაძე

თამარ მახარაძე

ნინო შატბერაშვილი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / **მიმართულება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **სოციალური მუშაობა**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ი. კაჭკაჭიშვილი**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **25.06.2011 ოქმი #4**

ცვლილებები შესულია: დადგენილება №30/2013, 18 თებერვალი, 2013 „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2012-2013 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები											
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)											
N	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**	**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ ლექტორები**
				ლექცია–პრაქტიკუმებისთვის	**შუალედური გამოცდა**	**დასკვნითი**			**დგ**	**ეგ**	

			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი								
1	შესავალი სოციალური კვლევის მეთოდებში	5	15	15	37	10+10	35	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლ. წულაძე, ლ. სურმანიძე, ნ. დონაძე, თ. აბაშიძე, შ. თურქიაშვილი, ი. ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი, მ. კაკაჩია, ე. ფირცხალავა მ. მესტვირიშვილი
2	ინგლისური ენა 1[1]	5	30	30	45	8	12	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თსუ–ს ენების ცენტრის პედაგოგი
3	ინგლისური ენა 2	5	30	30	45	8	12	2	ინგლისური ენა 1	✓	✓	თსუ–ს ენების ცენტრის პედაგოგი
4	სტატისტიკა 1	5	30	30	40	10	13	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ო. ღლონტი, ბ. დოჭვირი,

[1] შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიცწარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

საფაკულტეტო (საბაზო) არჩევითი კურსები (მინიმუმ 1 საგანი)												
1	ანთროპოლოგია	5	15	15	35	20	38	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლ. სურმანიძე
2	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	78	5	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თ.დოლბაია
3	აკადემიური წერა	5	15	15	65	14	14	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ხ. მარწყვშვილი
4	ლოგიკა	5	22	30	64	10	12	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. თომაშვლი
5	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	60	10	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	გუგული მაღრაძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები (სოციალური მუშაობის პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, სოციალური მუშაობის შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასკნელი მათ ეთვლებათ მეცნიერების მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში)												
1	ფსიქოლოგიის შესავალი	5	15	15	69	16	8	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. ჩიტაშვილი
2	სოციალურ ი მუშაობის შესავალი	5	15	15	57	20	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. შაღაშვილი ს. ნამიჭეიშვილი შ. თურქიაშვილი თ. მატარაძე
3	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	61	6	10	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი.სალუქვაძე

4	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. მაცაბერიძე
5	სოციოლოგიის შესავალი	5	30	15	65	15	12	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. კაჭკაჭიშვილი ა. ბერძენიშვილი შ. თურქიაშვილი ლ. წულაძე მ. ბურძენიძე ნ. დონაძე
6	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	15	15	63	15	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გ. ხელაშვილი
7	მასობრივი კომუნიკაციის და ჟურნალისტიკის შესავალი	5	30	30	50	8	5	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. წერეთელი; თ. ჯოლოგუა
სოციალური მუშაობის პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კურსები – 90 კრედიტი (ECTS)												
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	30	52	10	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თ.მატარაძე ს.ნამიჭეიშვილი ზ. ტატანაშვილი გ. წოწკოლაური
2	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები:	5	30	15	48	12	18	2	სოციალური მუშაობის		√	ნ. რუხაძე

	ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა								შესავალი			
3	ჯგუფებთან მუშაობა	5	15	15	30	30	32	3	სოციალური მუშაობის შესავალი		✓	ნ.ბერძენიშვილი
4	ორგანიზაციებთან და თემებთან მუშაობა	5	15	15	45	22	25	3	წინაპირობის გარეშე	✓		თ.მახარაძე
5	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში 1	5	15	30	40	17	20	3	წინაპირობის გარეშე	✓		თ.მახარაძე
6	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში 2	5	15	30	40	17	20	3	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში 1		✓	თ.მახარაძე
7	კულტურული მრაავლფეროვნება და სოციალური მუშაობა	5	30	15	48	12	18	2	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები (ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა)	✓		ნ. რუხაძე
8	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 1	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ი.კაჭკაჭიშვილი თ.მატარაძე
9	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 2	5	15	15	75	8	9	3	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 1		✓	ი.კაჭკაჭიშვილი თ.მატარაძე
10	კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა	5	15	15	25	32	35	3	სოციალური მუშაობის შესავალი		✓	თ.მატარაძე
11	სოციალური მუშაობის	5	15	15	25	30	38	2	სოციალური		✓	ს. ნამიჭეიშვილი

	სამართლებრივი ასპექტები								მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები			
12	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა	5	15	15	66	12	15	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ.შატბერაშვილი
13	სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი	30							სოციალური მუშაობის შესავალი	✓	✓	ნ.შატბერაშვილი
14	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჯგუფებთან									✓	✓	ნ.შატბერაშვილი
15	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ინდივიდებთან და ოჯახებთან									✓	✓	ნ.შატბერაშვილი
სოციალური მუშობის სპეციალობის არჩევითი კურსები – 20კრედიტი (ECTS)												
1	თანამედროვე სოციალური პრობლემები 1	5	15	30	52	10	15	3	სოციალური მუშაობის შესავალი	✓		შ.თურქიაშვილი
2	თანამედროვე სოციალური პრობლემები 2	5	15	15	30	30	32	3	სოციალური მუშაობის შესავალი; თანამედროვე სოციალური პრობლემები 1		✓	ნ.ბერძენიშვილი
	სოციალური მუშაობა და ბავშვთა				43	8	12	2	სოციალური	✓		ს.ნამიჭეიშვილიო

3	დაცვა ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან	5	30	30					მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები			
4	საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა და სოციალური მუშაობა	5	30	15	60	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ.შატბერაშვილი
5	ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა	5	15	15	45	22	25	3	წინაპირობის გარეშე		✓	თ.მახარაძე
6	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან	5	15	15	53	18	22	2	წინაპირობის გარეშე	✓		თ.ბრეგვაძე
7	ძალადობა ოჯახში:პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა	5	30	15	37	15	25	2	წინაპირობის გარეშე		✓	ზ. ტატანაშვილი
8	ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება	5	15	15	63	12	17	3	წინაპირობის გარეშე	✓		ზ.ტატანაშვილი
9	ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა	5	15	15	65	12	16	2	კლინიკური სოციალური მუშაობის საფუძვლები		✓	ი. შეყრილაძე
10	სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან	5	15	15	65	12	16	2	სოციალური მუშაობის შესავალი		✓	გ. წოწკოლაური
11.	კლინიკური სოციალური მუშაობის საფუძვლები	5	15	15	65	12	16	2	სოციალური მუშაობის შესავალი		✓	ი. შეყრილაძე

12	„კულტურული განსხვავება და და სამომხმარებლო ქცევა თანამედროვე საზოგადოებებში“ (*არჩევითი ინგლისურენოვანი*)	3							სოციალური მუშაობის შესავალი		✓	ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუკა გრონოუ).
13	სოციალური მუშაობა ქრონიკული და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პაციენტებთან	5	15	30	52	10	15	3	სოციალური მუშაობის შესავალი			ი. შეყრილაძე
14	სპეციალური ინგლისური ენა (სოციალური მუშაკებისათვის) 1, 2	5+5	10	30	60	104	20	30	სოციალური მუშაობის შესავალი			მ. ქევხიშვილი
15	სოციალური მუშაობა და მედია;	5	5	15	30	52	10	15	სოციალური მუშაობის შესავალი			დ. ბოგიშვილი
16	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;	5	5	15	30	52	10	15	სოციალური მუშაობის შესავალი			მ.ზაქარეიშვილი
17	სექსუალობა ახალგაზრდებში და ადრეულ ასაკში მშობლობა: საერთაშორისო პერსპექტივა	5	30	15	37	15	25	2	სოციალური მუშაობის შესავალი			თ. მატარაძე

18	უმცირესობათა პერსპექტივა: რასა, ეთნიკურობა და გენდერი	5	15	30	52	10	15	3	სოციალური მუშაობის შესავალი			თ. მატარაძე
19	მზრუნველობას მოკლებული მოზარდების რისკები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ადიქციურ ქცევასთან მიმართებაში	5	15	30	52	10	15	3	სოციალური მუშაობის შესავალი			
20	სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება	5	5	15	30	52	10	15	მე-6 და მე-8 სემესტრების სტუდენტებისა თვის			ი. კაჭკაჭიშვილი
საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) სავალდებულო												

დამატებითი (Minor) პროგრამა სოციალურ მუშაობაში

(60 კრედიტი)

საგნების განაწილება საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით (ყველა საგანი 5 კრედიტიანია)

საშემოდგომო სემესტრი				საგაზაფხულო სემესტრი		
	კურსები	**პედაგოგი**			**კურსები**	**პედაგოგი**
სავალდებულო (სულ 40კრედიტი)						

1.	სოციალური მუშაობის შესავალი	ს. ნამიჭეიშვილი ზ. ტატანაშვილი . თ. მატარაძე		სოციალური მუშაობის შესავალი	ზ. ტატანაშვილი გ. წოწკოლაური ნ. რუხაძე
2.	კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა	ნანა რუხაძე	5.	ჯგუფებთან მუშაობა	ნათია ბერძენიშვილი
3.	ორგანიზაციებთან და თემებთან მუშაობა	თამარ მახარაძე	6.	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები II	იაგო კაჭკაჭიშვილი, თეონა მატარაძე
4.	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები I	იაგო კაჭკაჭიშვილი თეონა მატარაძე	7.	სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა	ნანა რუხაძე
			8.	სოციალური მუშაობის სამართლებრივი ასპექტები	სალომე ნამიჭეიშვილი
სავალდებულო-არჩევითი (სულ 20 კრედიტი)					
1.	სოციალური მუშაობა და ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან	სალომე ნამიჭეიშვილი	5.	საერთაშორისო სოციალური მუშაობა და სოციალური კეთილდღეობა	ნინო შატბერაშვილი
2.	თანამედროვე სოციალური პრობლემები I	შორენა თურქიაშვილი	6.	თანამედროვე სოციალური პრობლემები II	ნათია ბერძენიშვილი
3.	ადრეული ბავშვობის განვითარება	ზურაბ ტატანაშვილი	7.	ძალადობა ოჯახში: პრობლემის სამართლებრივი და სოციალური პერსპექტივა	ზურაბ ტატანაშვილი

4.	სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან	თინათინ ბრეგვაძე		8.	ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა	ია შეყრილაძე
				9.	ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა	თამარ მახარაძე
				10.	სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან	გიორგი წოწკოლაური
				11.	კლინიკური სოციალური მუშაობის საფუძვლები	ია შეყრილაძე

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი